მიიჩნევენ სემუელ ჰანტინგტონს, სინამდვილეში „გამოიგონა“ ინგლისელმა აღმოსავლეთმცოდნემ ბერნარდ ლუისმა. 1970-იანი წლების დასაწყისში იგი გადასახლდა აშშ-ში და, პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი რომ გახდა, დაიწყო თანამშრომლობა ზგიზნევი ზაქარიაშვილთან, რომელიც იმხანად ამერიკის პრეზიდენტ ჯიმი კარტერის აღმინისტრაცი-

ის მრჩეველი იყო ეროვნული უშიშროების საკითხებში. ეს ტერმინი მან პირველად გამოიყენა 1957 წელს, სუეცის კრიზისის შემდეგ, როცა შეეცადა, ახლო აღმოსავლეთის პრობლემა წარმოეჩინა არა როგორც კონფლიქტი სახელმწიფოთა შორის, არამედ ცივილიზაციათა დაპირისპირებად. 1990 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „მუსლიმთა სიონის ფესვები“ ლუ-



(დასასრული შემდეგ ნომერში)



„შმაღლესის მთავრობის პირდაპირი დანიშნულება იგია, რომ ყოველს ძველმკვდომს მისი სატკივარი გაუზომს, მისი წამალი დასდოს, ყოველს სიკეთისა და კეთილდღეობის გზა გაუხსნას. ამისათვის საჭიროა, შმაღლესმა მთავრობამ უტყუარად, პირუთვნელად, ზედმიწევნით იცოდეს ყოველის კუთხის ნამდვილი ვითარება, მისი ავკარბინობა, რომ საცა შესაძლოა შველა, უშველოს, შეხეობა მიაწვდინოს“.

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

რატომ ვერ აგვისრულა „ოცნებამ“ მასზე დანდობილი იმედი, გარკვეულწილად იმან განაპირობა, თუ როგორი იყო მისი მმართველობა, რა პრინციპებზე აგებული, რამდენად შეესაბამებოდა ეს პრინციპები საზოგადოების ინტერესებს და რამდენად იყო ისინი ხალხზე ზრუნვის მიზნით მოფიქრებული... უპირველესად კი განაპირობა იმან, რომ დღეს ბევრი თანამდებობის პირი პასუხისმგებლობას გრძნობს არა ხალხის, საზოგადო სამართლისა და კანონის წინაშე, არამედ კონკრეტული პიროვნების მიმართ, რომლის კეთილგანწყობის შენარჩუნება ყველა კანონსა და ხალხზე მაღლა დგას მისთვის. მაამებლობა, „პლასტიკურობა“ იყო და არის სწორედ ის, რამაც მლიქვნელსაც ავნო და მლიქვნელობის ობიექტსაც, ყველაზე მეტად კი ქვეყანა დააზარალა.

კითხვაზე — როგორ უნდა მოქმედებდეს ხალხზე მზრუნველი ხელისუფლება და რაზე უნდა ამახვილებდეს განსაკუთრებულ ყურადღებას, დამაჯერებელ პასუხს ისევე იღობს პუბლიკაციებში თუ ვიპოვი. ამ მხრივ საინტერესოა ილიას „ცხოვრება და კანონი“ (მეოთხე წერილი), რომელშიც ერის მამამ ჩამოაყალიბა „ზოგიერთი აზრი შინაგანს მმართველობაზე საზოგადოდ“. მისი აზრით, „ქვეყნიერობაზე მართველობას ორგანიზაციის და აგებულება ჰქონია და აქვს“, რომელსაც „ყოველს სახელმწიფოში ორი დიდი მდინარეა“ განაპირობებს: ერთი — სახელმწიფოს საჭიროებისა და მეორე — საზოგადოებისაო, ანუ ცენტრალური მმართველობა და თვითმმართველობა.

მოვუსმინოთ თავად ილიას:

„ყოველი სახელმწიფო, რიგანს წესზედ ცოტად თუ ბევრად დამდგარი, ნაწილ-ნაწილად არის დაყოფილი, რომ მოვლა და პატრონობა ადგილი იყოს. მაგალითებ, რუსის იმპერია დაყოფილია გუბერნიებად, გუბერნიები მარცხედ, მარცხედი სოფლის საზოგადოებად. ყოველს სახელმწიფოში ორი დიდი მდინარეა: ერთი მთელის სახელმწიფოს საჭიროებისა და მეორე — საზოგადოებისა. ეს ორივე გვარი საჭიროება ყოველს ნაწილში მომდინარეობს იმდენად მეტ-ნაკლებად, რამდენადაც თვით ნაწილი მეტ-ნაკლებია; განსხვავება თითქმის ამ მეტ-ნაკლებობაშია და სხვა არაფერში. ამიტომაც მთელს სახელმწიფოში, თუ თვითოეულს მის ნაწილში, ამ ორგვარის საჭიროების მზრუნველობა და გამგეობა საჭირო არის. ეგ მზრუნველობა და გამგეობა არის აუცილებელი და უსათუო საგანი ყოველის მმართველობისა. ქვეყნიერობაზე მართველობას ორგვარი წყობა და აგებულება ჰქონია და აქვს. თუ სადმე რაიმე ცვლილება არის, მაინც არ შეიძლება, რომ მმართველობა ან ერთისაკენ არ იყოს მიდრეკილი, ან მეორისაკენ. ერთგვარი მმართველობა იგია, საცა სახელმწიფო საჭიროების საქმესაც თვით მთავრობა განაგებს და საზოგადოებისასაც, ყველაზე და ყოველს ნაწილში. ამ შემთხვევაში მთავრობა ყოველგვარი საქმის დამწყები და მოთავეა, ყოველგვარი საქმის მმართველობა, — ყოველის მზრუნველი და გამგეა. ასე რომ ყოველივე მისგან წარმოსდგება და ყოველივე მასვე ერთობს.“

ამგვარად, გამგეობისათვის მას თავისი საკუთარი მოხელე-კაცნი ჰყვანან, რომელთაც თვით ირჩევს, თვით ნიშნავს, თვით გადააყენებს და რომელნიც მხოლოდ მის წინაშე არის პასუხისმგებელი. ამგვარს მმართველობას ცენტრალიზაციას ეძახიან.

მეორე-გვარი მმართველობა იგია, საცა მთავრობას ხელთ უპყრია მარტო მთელის სახელმწიფოს საჭიროების საქმენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსაკუთრებია, მერე ასე, რომ ყოველს ნაწილს თვისნი ადგილობრივი საქმენი აქვს ხელშეუვალად მიწოდებული. ეს საზოგადოე-

ბის საჭიროების საქმენი, ადგილობრივად განაწილებულნი, განიგებიან უსათუოდ ადგილობრივთა მოხელეთა შემწეობით, რომელთაც ირჩევს თვით ადგილობრივთა მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც ამავე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელი არიან. ამგვარს გამგეობას თვითმმართველობას უწოდებენ, რადგანაც ამ შემთხვევაში თვითოეული ნაწილი ერთისა და იგივე სახელმწიფოსათვის თავის საკუთარს საქმეს თვით ჰპატრონობს, თვით უფლის და თვით ჰმართავს.

ერთის სიტყვით, ამგვარის მმართველობის დედა-აზრი იგია, რომ ადგილობრივი საქმენი თვით ადგილობრივთა მცხოვრებთაგან განიგებოდა. ამგვარი მმართველობა მეტად ხელს უმართავს ქვეყნის კეთილდღეობას: ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკუასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალხს უღვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწურთნის და ავარჯიშებს. ამგვარი მმართველობა ისეთი თვისებისაა, რომ, საცა კი სურს ადამიანს, ყველგან და ყოველს ხალხში იხიერებს და ჩვეულებრივს ნაყოფს მოიტანს. იქ, საცა მაგას გზა და ადგილი ჰქონია, ყველგან ცხოვრება ადამიანისა აუყვავებია და მთავრობისათვისაც მძიმე ტვირთი ქვეყნის გაუმჯობისა შეუძლებელია, ამახსნია.

ერთი მწერალი ამბობს: „ისტორია ამტკიცებს, რომ თვითმმართველობა უკეთესი ნაწილია ხალხის ყოველგვარის საჭიროებისა. საცა უნდა დარგათ, იგი ყველგან ხეირობს: ინგლისშიაც, საცა დიდკაცობაა ყოველის წყობის საფუძველი, ამერიკაშიაც, საცა გაწესდა ზღვრული თანასწორო-

გააბეგლობა, «კლასტალინობა» იყო და არის სწორედ ის, რამაც მლიქვნელსაც ავნო და მლიქვნელობის ობიექტსაც, ყველაზე მეტად კი ქვეყანა დააზარალა

რატომ ვერ აგვისრულა «ოცნება» მასზე დანიშნული იმედი



არავითარს შიშს არ მოასწავებენ. ჩვენგან დანიშნული მოხელე კი მათთვის უცხო კაცი იქნება და ერთი ურიგო რამ ქცევა უცხო კაცისა უკმაყოფილებას ჩამოაგდებს და ეგ მთავრობის განზრახვასა და სურვილს არ ეთანხმება. მე უფრო ისა გგონია, რომ მათგან ამორჩეული მოხელენი უფრო ცოტას გვავენებენ, ვიდრე ჩვენივე პრუსიის მოხელენი“. თუ იმისთანა კაცი, როგორც ბისმარკი, რომელიც თავისუფლების დიდი მომხრე მაინდამაინც არ არის, ისე დევნოდა თვითმმართველობისათვის, მერე იმ ქვეყნების შესახებ, რომელთაც გერმანიის მორჩილება არამც თუ უნდო-

მაგრამ თვითმმართველობის საქებარად ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ აქ გადამეტებულსა, თუ არ სარგებლობა, ისეთი ვნება მაინც არ მოსდევს, როგორც მას, როცა სახელმწიფოს — მთავრობას გადამეტებულის ზომით დაუჭერია ცხოვრებაში ადგილი. ღირსება და სიკეთე შინაგანის მმართველობისა ჯერ იმაზედ არის დამოკიდებული, რომ განაწილებულია თუ არა სახელმწიფოსა და საზოგადოების შორის მათდამი კუთვნილთა საქმეთა გამგეობა, და თუ განაწილებულია — როგორ და რამდენის სიმართლით არის ეგ მომხდარი. ყოველივე შინაგანის მმართველობის ღირსება და სიკეთე ამ სასწორით უნდა აწონილ იქნას.

«ყოველივე ადგილობრივის თანამდებობის მქონე კაცი პასუხისმგებელი უნდა იყოს წინაშე საზოგადო სამართლისა და სახელმწიფოსა და არა თვისთა უფროსთა წინაშე»

ბაა მიღებული სახელმწიფოს ქვეკუთხედადა. ერთნაირის სიკეთით და მადლით მოქმედებს და თავსდება იქაც, საცა იმისთანა პატარა ქვეყანაა, როგორც შვეიცარია (739 ოთხკუთხი მილია) და იქაცა, საცა იმისთანა უზარმაზარი უდაბნო მინდვრებია, როგორც ჩრდილო-ამერიკაში. იქაც კეთილადგანწყობილი და შეთვისებულია, საცა იმისთანა სახელმწიფოა განათლებაა, როგორც ლონდონში და იქაცა, საცა იმისთანა გაუნათლებელი ხალხია, როგორც კანადაში, ავსტრალიაში და სხვა ინგლისის კოლონიებში“. თუმცა საჭიროებისა. საცა უნდა დარგათ, იგი ყველგან ხეირობს: ინგლისშიაც, საცა დიდკაცობაა ყოველის წყობის საფუძველი, ამერიკაშიაც, საცა გაწესდა ზღვრული თანასწორო-

ბაა ეგ უფლება მიენიჭოს: აურზაურს მოჰყვება, თავს გაიზვიადებს და მორჩილებიდან გამოვარო. როცა პრუსიამ წაართვა საფრანგეთს ელზასი და ლოტარინგია და პარლამენტში ჩამოვარდა საუბარი მასზედ, თუ რაგვარი მმართველობა მიეცეთო ამ ახლად დაჭერილს ქვეყნებს, ბისმარკმა აი რა სთქვა: „ჩვენი საქმე ელზასსა და ლოტარინგიაში თვითმმართველობის განძლიერება უნდა იყოსო. ადგილობრივი საზოგადოების კრებანი უნდა დაეწყეთო ადგილობრივის მმართველობისათვისაო. ამ კრებათაგან უფრო უკეთ გვეცოდინება იმ ქვეყნების საჭიროება, ვიდრე პრუსიის მოხელეთაგანა. ადგილობრივთა მცხოვრებთაგან ამორჩეული და დაყენებული მოხელენი ჩვენითვის

დათ, არამედ ეთაკილებოდათ, თუ ამისთანა რკინის გულისა და მარჯვენის კაცი, როგორც ბისმარკი, სხვა გზით ვერ ახერხებდა ურჩის ხალხის გულის მოგებას, თუ არ თვითმმართველობის მინიჭებითა, სხვას რაღა ეთქმის.

ამ თვითმმართველობის დადგენისათვის ყველაზე ძნელი იმ ზომის პოვნაა, რომლითაც საერთო სახელმწიფო საჭიროების საქმენი მიეზომება ხოლმე სახელმწიფოს მთავრობასა, და საზოგადოებრივი კი — ადგილობრივ საზოგადოებასა. ამ ორთა შუა ნამდვილის საზღვარის პოვნაც ძნელია, იმიტომ რომ თვით ბუნებითად ამ ორივე საჭიროების ძაფები ერთიერთმანეთში ჩართულ და გადაბმულ არიან, თუ ყოველსაფერში არა, ბევრში მაინცა.

ღღას ბევრი თანამდებობის პირი პასუხისმგებლობას გრძნობს არა ხალხის, საზოგადო სამართლისა და კანონის წინაშე, არამედ კონკრეტული პიროვნების მიმართ, რომლის კეთილგანწყობის შენარჩუნება ყველა კანონსა და ხალხზე მაღლა დგას მისთვის

ადგილობრივი თვითმმართველობა და უმაღლესი მთავრობა არც ერთი და იგივეა, არც ურთიერთის მოკამათე და მოცილენი არიან. ერთსა და იმავე ქვეყანაში, ერთსა და იმავე სახელმწიფოში, ორნივე მშვიდობიანად თავსდება და ურთიერთის სახიროდ მოქმედობენ. ზემოთ მოვიხსენიეთ, რომ ძნელია ამათ შუა ნამდვილის საზღვარის დადგენა, თუ ყველაფერში არა, ზოგიერთში მაინცა. თუმცა ეს ასეა, მაგრამ საზოგადოდ ერთსაც და მეორესაც ისეთი თვალსაჩინო თვისების კუთვნილება აქვს, რომ მის მეოხებეთა კაცს შეუძლიან, თითქმის ყოველს შემთხვევაში, გაარჩიოს, ან ერთის რის მოღვაწე და პატრონი უნდა იყოს, ან მეორე. ჩვენ თვინება თვითოეულისა ზემოთ გაკვრით მოვიხსენიეთ. მაგრამ ვხედავთ, რომ იგი ჩვენის უმთავრესის საკმარის უკეთ ცნობისათვისა ცოტაა, ამისათვის გვსურს ამჟამად ეგ თვისება ცოტად დანერვილებით აღვნიშნოთ.

ყოველი სახელმწიფო, თუნდ გვარტომობით ერთისა და იგივე ხალხით იყოს შემდგარი, მაინც, ადგილობრივის სხვადასხვაობისა გამო, ბევრს სხვადასხვა თვისების მხარესა და მხარეს წარმოგვიდგენს. ყოველს მხარეს, ყოველს ნაწილს ერთისა და იგივე სახელმწიფოსას, თავისი საკუთარი წირი და ლხინი აქვს, თავისი საკუთარი გაჭირვება ადგია, თავისი საკუთარი მზრუნველობა და ფიქრი უმძიმებს გულსა, თავისი საკუთარი ნეტარება აფხიზლებს და იბირებს. უმაღლესის მთავრობის პირდაპირი დანიშნულება იგია, რომ ყოველს ქვეყნმკვდომს მისი სატკივარი გაუგოს, მისი წამალი დასდოს, ყოველს სიკეთისა და კეთილდღეობის გზა გა-



„თვითმმართველობის „დადა-აზრი იგია, რომ ადგილობრივი საქმენი თვით ადგილობრივთა მცხოვრებათაგან განიგებოდეს. ამგვარი მმართველობა მეტად ხელს უშარტავს ქვეყნის კეთილდღეობას: ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკუასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალხის უღვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწურთნის და აზარჯიზებს“.

უხსნას. ამისათვის საჭიროა, უმაღლესმა მთავრობამ უტყუარად, პირუთვნელად, ზედმინეწვით იცოდეს ყოველის კუთხის ნამდვილი ვითარება, მისი ავკარგინობა, რომ საცა შესაძლოა შეველა, უშველოს, შემწეობა მიაწვდინოს. ცხადია, რომ უმაღლესს მთავრობას თითონ, სხვის დაუხმარებლად, ვერ შეუძლიან ვერც თვალი მიაწვდინოს დასახსხავად ყველგან, ვერც ყური სასმენლად და ვერც ხელი საშველად. ცხადია, რომ მან უნდა იყოლოს ამისათვის ანუ საკუთარი მოხელენი, ყოველგან მოფანტულნი და მორიგებულნი, ანუ ეგ მოხელეობათვით ადგილობრივ მცხოვრებთა უნდა ჩააბაროს, მიაწვდინოს. პირველმა საშუალებამ თავი ვერსად ვერ გაიმართლა, იმიტომ რომ სხვის ხელით საქმის გაკეთება არსად და არასფერში არც თავს მოსულა და არც მოვა. სხვას, ტყუილია, ჩემთვის ისე გული არ შესტკივა, როგორც მე თითონ; სხვა ჩემს ავკარგინობას ჩემსავით ვერ შეტყობს, ჩემს ტკივილს ჩემსავით ვერ მოუფლის, ჩემს ჩივილს ჩემსავით ვერ იტყვის; რაც მე ვიცი ჩემი, სხვას თავის-დღეში არ ეცოდინება. ეს ყველგან ესე სცნეს და ამიტომაც ეგ საშუალება თითქმის ყველგან დაუნუნებულ იქმნა და უარყოფილი. სულ სხვა პრინცი, რომც უმაღლეს მთავრობას თვის მითვალყურად, მოხალად და ადგილობრივთა სახმამთაგამად თვით ადგილობრივი მცხოვრებანი ჰყვანან. მათ უკით იცინან თავისი ვითარება, უკით იცინან თვისი საქმისა, უკით იცინან თვისის თავის მოვლა, თვისის თავისათა პატრონობა.

ამ შემთხვევაში, ერთის მხრით, ყოველის კუთხის ქემარტი საჭიროება, უტყუარი ტკივილი, გულწრფელი და მართალი ნადილი მთავრობამდე მიღწეულია, მეორეს მხრით — უმაღლესის მთავრობის საერთო მზრუნველობა ერთნაირის გულსტკივილით, ერთნაირის მადლით ყოველს კუთხემდე მიწვდენილია, მორიგებული და მოფენილი. აქედამ ცხადია, სად უნდა დაიღვას საზღვარი უმაღლესის მთავრობისა და თვითმმართველობის შუა. უმაღლესი მთავრობა, რა სახისაც უნდა იყოს, საყოველთაო საქმეთა მზრუნველი და მოღვაწეა, ესე იგი იმა საქმეთა, რომელნიც არამც თუ ყოველს ნაწილს, არამედ ყოველს ქვეშევრდომს ერთნაირად და ერთგვარად შეეხება და რომელნიც საერთო, საყოველთაო კეთილდღეობისათვის ცნობი-



„უმაღლესა მთავრობა უტყუარად, პირუთვნელად, ზედმინეწვით უნდა იცოდეს ყოველის კუთხის ნამდვილი ვითარება, მისი ავკარგინობა, რომ საცა შესაძლოა შეველა, უშველოს, შემწეობა მიაწვდინოს“



შია მაგ თვითმმართველობას დიდი ფართო გზა გაეხსნა უმაღლესის მთავრობისაგან და თითქმის მთელი რუსეთი ამას სიხარულით მიეგება. იქვე სოფლის, გლეხთა საზოგადოების მიენიჭა თვითმმართველობის უფლება, მეგრე მზრასა და გუბერნიასა ერთად და ამ სახით ყოველს განყოფილებაში დაიდგინა თვითმმართველობითი გამგეობა ადგილობრივთა საქმეთა. იგი დიდი ხანია მოქმედებს ინგლისშიაც, საცა მონარქიული წარმომადგენლობითის სახის მთავრობაა, და ჩრდილო-ამერიკაშიაც, საცა რესპუბლიკაა. ეს მაგალითები ცხადად გვიჩვენებს ჩვენ, რომ თვითმმართველობა უმაღლესის მთავრობის სხვადასხვაგვარობაზედ არ არის დამოკიდებული, რომ იგი ყოველგვარს უმაღლეს მთავრობას უხდება. თვითმმართველობამ რომ თავისი ჩვეულებრივი ნაყოფი მოიტანოს და თავის თავს არ უმტყუნოს, მისდა შესაფერად უნდა იყოს მოწყობილი და დარგული. ამ მოწყობაში არც ერთი მისი არსებითი კუთვნილება დავიწყებული არ უნდა იქმნას, არც ერთი ძირეული აზრი არ უნდა დაირღვეს. თუ ეს სიფრთხილე არ იხმარა ადამიანმა, თვითმმართველობა უფრო უქმი სიტყვა იქნება, უფრო სახელი იქნება, ვიდრე სახრავი. უმთავრესი კუთვნილება უმთავრესი საქმეა: ბანი თვითმმართველობისანი არიან: 1. ადგილობრივთა საქმეთა ადგილობრივის განსამართლების უფლება. ამაზედ არის დამყარებული მცხოვრებთა პატივის, ღირსების და ქონების ნამდვილი მფარველობა და ხელშეუხებლობა; 2. უმაღლესის მთავრობისაგან განწესებულის ხარჯისა, ბეგარისა და სამსახურისა ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის განაწილება. ეს უკეთესი ღონისძიებაა, რომ ყოველმა სამართლიანად და უმეტ-ნაკლად გადახადოს სახელმწიფოს თავის შესახვედრი მოვალეობა; 3. ადგილობრივის საჭიროებისათვის გარდასახადის დადგენა, განერა და აქედამ შემოსულის ფულის თავისუფლად გამგეობა; 4. სხვადასხვა წესისა და რიგის დადგენის უფლება ადგილობრივის საზოგადოების კანონად, მაგრამ ისე კი, რომ იგი წესი და რიგი საყოველთაო კანონს არ ეწინააღმდეგებოდეს; 5. ადგილობრივის საზოგადოების პირველდანიყვებითის სწავლის მოწყობა და თავისუფალი გამგეობა; 6. ადგილობრივის საზოგადოებისათვის მზრუნველობა და ღონისძიების მოხმარება; 7. ადგილობრივის საზოგადოების საზრდოებისათვის თავდარიგის დაჭერა და ღონისძიების მოპოება; 8. ადგილობრივის გზებისა,

ხიდებისა კეთება, მოვლა და თავისუფალი გამგეობა; 9. უმაღლესის მთავრობის წინაშე უშუამდგომლობა ყოველს მასზედ, რაც ადგილობრივის საზოგადოების საჭიროებას და მოთხოვნილებას შეადგენს. უმთავრესი საფუძველი თვითმმართველობისანი არიან: 1. ხმა და არჩევის უფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებლს, რაკი სრულწლოვანია; მასადადამე ყოველს მოვალეობაშიაც ყოველს მცხოვრებს წილი უნდა ედგას; 2. ადგილობრივის სამმართველოს ხელქვეითი უნდა იყვნენ ყოველნი, ვინც კი სამმართველოს წრეში სცხოვრობს; აქ, როგორც პირველს შემთხვევაში, ნოდებათა შორის განყოფილება და ხარისხების განება მანებელია და თვითმმართველობის ბუნების წინააღმდეგია; 3. ადგილობრივი მოსამართლენი, აგრეთვე მოხელენიცა, უნდა ამორიჩონ ადგილობრივთა მცხოვრებთა; 4. ყოველივე ადგილობრივის თანამდებობის მექანიკაცი პასუხისმგებელი უნდა იყოს წინაშე საზოგადო სამართლისა და სამსჯავროსა და არათვისთა უფროსთა წინაშე. * * *

იქვე ილია ჩვენს სატქმელსაც ამბობს, როდესაც სვამს კითხვას: „თუ თვითმმართველობა ეგ არის, მაშ, ყოველის მხრით და ყოველგან რად ისმის სამდურავი მმართველობაზედ? რატომ მაგ თვითმმართველობამ არ აყვავა სოფელი, თვით გლეხობა ეგრე ერთხმად რად უჩივისო?“ ილია ამ სამართლიან გულისწყრომას ხალხისას შემდეგ წეროლში უპასუხა: „ჩვენ ვეცდებით, ამ საბუთიანს სიტყვას შესაფერი პასუხი მივცეთ შემდეგს წერილით“. მაგრამ დღევანდელი საქართველოს მოქალაქეებს, განსაკუთრებით კი იმ თაობას, რომელსაც მთავრობათა მედღეხალიობაში ცხოვრება ხელიდან გაუფრინდა, ვინ რა პასუხს გასცემს?! ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ არ გვაქვს უიმედობის უფლება. ადგილობრივი თვითმმართველობა არც სხვაგან ჩამოყალიბებულა ერთი ხელის მოსმით. ჩვენი პრობლემა კი მუდმივი კონფლიქტი იყო შიდა თუ გარეუ მტერთან. მათი გავლენა არ გვაძლევდა საშუალებას, გვეფიქრა ისეთ მაღალ დემოკრატიულ ღირებულებებზე, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობაა. ამ მხრივ შედეგის მისაღწევად საჭიროა საერთო სულისკვეთება, უფრო კონკრეტულად კი: * ძლიერი პოლიტიკური პარტიების შექმნა და კონკურენტული არჩევნების ჩატარება; * რაციონალური საჯარო სამსახურის სისტემა, პროფესიონალი კადრების მომზადება; * მუნიციპალიტეტების ხელში უფლებამოსილებების შესაბამისი ფინანსური და ქონებრივი რესურსების თავმოყრა; * სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება მოსახლეობაში და იმ მექანიზმების დახვეწა, რომლებიც უზრუნველყოფს მათ ჩართულობას თვითმმართველობის მუშაობაში.

«თვითმმართველობის დადგენისათვის ყველაზე ძნელი იმ ზოგის პოვნაა, რომლითაც საერთო სახელმწიფო საქმიანობის საქმენი მიუხედავად სოლად სახელმწიფოს მთავრობასა, და საზოგადოებრივი კი — ადგილობრივ საზოგადოებასა. ამ ორთა შუა ნაფიქრის საზღვარის პოვნაა ძნელი, იმიტომ რომ თვით ბუნებითად ამ ორივე საქმიანობის ქაჯები ერთიანობითი ჩართულ და გადახვეულ არიან, თუ ყოველსურავი არა, ბევრნი მიიწეა»



ეს პირადად
პირდაპირად

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლოებით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსანი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაბობით, უზნაობითა და მახუზლარობით. ცილისმამაებანი, ღვთის მოძულენი, შეურაცხყოფენი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტბამზრახველნი, მშობლები ურჩნი.

(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)



ავსტრალიაში კიდევინაა ქალი ახილას

ავსტრალიის სამართალ-დამცავმა ორგანიზებმა ახილეს პედოფილები, რომლებიც სოციალურ ქსელებში ბოგინებდნენ. დაპატიმრებულია 11 ეჭვმიტანილი, — იუწყება Daily Mail-ი.

მათაგან, რომლებიც პოლიციამ დააკავა 18-დან 41 წლამდე არიან, მათგან ოთხი უკვე იყო მსჯავრდებული არასრულწლოვანთა მიმართ სხვადასხვა სექსუალური დანაშაულისთვის. ისინი „ფეისბუქის“ მეშვეობით მოქმედებდნენ. მათი მიზანი არასრულწლოვანი გოგონები იყვნენ, რომელთა შორის უმცროსები 13 წელს არ იყვნენ აცილებულნი.

დამნაშავეთა კორმუნდირებული საქმიანობა 140 მსხვერპლს შეეხო. მათ შორის 23-მა

მძიმედ გადაიტანა სექსუალური ძალადობის ეპიზოდები. უმეტეს შემთხვევაში ბრალდებები არ შეიცავს უშუალო ფიზიკურ კონტაქტებს — ბოროტმოქმედნი სოციალური ქსელებით იკმაყოფილებდნენ გარყვნილ ვნებას. მათი კომპიუტერები კონფისკებულია. ივინისში ავსტრალიის პრესა იუწყებოდა, რომ პოლიციელებმა გააუფრებლეს პედოფილების ბანდა, რომელიც ინერდა და ავრცელებდა სექსუალური ხასიათის მასალებს პატარა ბავშვების მონაწილეობით. ამ უზნეო ადამიანებმა ჩამოაყალიბეს ინტერნეტგაერთიანება, რომლის წევრები ერთმანეთს მსგავსი ვიდეო და ფოტოსურათებით ამარაგებდნენ.



სილაგის ყოფილი დედოფალი რა წლინადს ხიხუი გაატარებს

29 წლის რემსი ბერსი — აშშ-ის დასავლეთ ვირჯინიის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელი, გაუაზრებელი საქციელის გამო ციხეში აღმოჩნდა. 2018 წლის აგვისტოდან ოქტომბრის ჩათვლით მასწავლებელი თავის ყოფილ მოსწავლეს, 15 წლის ბიჭს უხამს ფოტოებს უგზავნიდა. ამ გაარშიყება-გარყვნილობას ბოლო ყმანვილის მშობლებმა მოუდეს.

ქალმა თავი იმართლა, რომ თავის შიშველ ფოტოს საკუთარ ქმარს უგზავნიდა, მაგრამ მისამართი შეეშალა, — წერს Daily Mail. ბიჭს თურმე მოენონა ეს ფოტო და სთხოვა მასწავლებელს, კიდევ და კიდევ გამოეგზავნა მსგავსი ფოტოსურათები. ქალიც დაჰყვა ყმანვილის ნებას, რადგან ფაქტის გახმაურების შეეშინდა.

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მასწავლებელმა აღიარა დანაშაული. „მე ზრდასრული ადამიანი ვარ, იგი კი მხოლოდ ყმანვილია. რაც მოხდა, ჩემი

ბრალია და პასუხისმგებლობას სრულად ვიღებ“, — განაცხადა მან.

ბერსს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მისი სახელი და გვარი კი საშუალოდ ჩაიხურა სექსუალურ დამნაშავეთა რეესტრში.

2014 წელს ყოფილმა მასწავლებელმა „მის კენტუკის“ ტიტული მოიპოვა.

ნეოლიბერალური უნაობა

პრინს ენდრიუს კედოფილისადმი საიდუმლო მიღწეობის დატალახი

დიდი ბრიტანეთის პრინცი ენდრიუ, დედოფალ ელიზაბეტ II-ის ვაჟიშვილი, რომელიც მხილებული იყო მილიონერ-პედოფილ ჯეფრი ეშმტინთან კავშირში, ფეტიშისტია. სამეფო ოჯახის წევრის საიდუმლო მიღწეობები ამხილა ვირჯინია რობერტსმა, რომელთანაც სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა პრინცს, როცა გოგონა ჯერ მხოლოდ 17 წლისა იყო, — იუწყება Daily Mail.

რობერტსის თქმით, ენდრიუსთან ერთ-ერთი შეხვედრისას, რომელიც ეშმტინის მიერ იყო ორგანიზებული, იგი იძულებული შეიქნა, აბაზანის პროცედურა პრინცთან ერთად ჩატარებინა. პროცესის დროს პრინცი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქალიშვილის ფეხებს, ჰკოცნიდა მის ტერფებს, უწუნებდა თითებს. გარკვეული დროის შემდეგ ისინი სანოლ ოთახში შევიდნენ, სადაც ქალიშვილმა „ცხოვრებაში ყველაზე ხანგრძლივი 10 წუთი“ გადაიტანა პრინცთან სექსუალური კავშირის პროცესში.



„რამდენიმე წამის შემდეგ, პრინცი უმიზეზოდ ექსტაზში მიშინა და შფოთიან“, — იხსენებს რობერტსი. მომხდარის შესახებ იგი ესაუბრა ეშმტინს, რომელსაც აინტერესებდა, დარჩა თუ არა ენდრიუ კმაყოფილი მასთან დროსტარებით. „მე თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიე“, — დააზუსტა რობერტსმა. ამასთანავე, აღიარა, რომ ეშმტინთან ერთად განიხილეს სამეფო ოჯახის წევრის „უცნაური ფიქსაცია“ და ორივემ ბევრი

იცინა ამის გამო. ცნობილია, რომ პრინცი ენდრიუ ეშმტინის „პედოფილის კუნძულზე“ ჩავიდა 2004 წელს. მილიარდერის ერთ-ერთმა თანამშრომელმა გაიხსენა, როგორი ვულგარულობით ექცეოდა ენდრიუ ვირჯინია რობერტს იქ შეკრებილი საზოგადოების წინაშე.

2019 წლის ნოემბერში პრინცი ენდრიუ იძულებული იყო, უარი ეთქვა თავის სამეფო უფლებამოსილებაზე ეშმტინთან კავშირის გამო, რომელსაც ბრალი დასდეს კრი-

მასწავლებელ ქალს ბრალი დასდეს 14 წლის ბიჭის ცდუნებაში

გეოგრაფიის მასწავლებელს, 23 წლის მონიკა ელისაბედ იანსს, რომელიც სიდნეიში (ავსტრალია) მოღვაწეობდა, სერიოზული ბრალი დაუყენეს. ვარაუდობენ, რომ მას რამდენიმეჯერ ჰქონდა ინტიმური კავშირი 14 წლის ბიჭთან და სთხოვდა, სოცქსელებით გაეგზავნა მისთვის ინტიმური ფოტოსურათები.



მასწავლებელმა მოსწავლეს გაუგზავნა ფოტო, რომელზეც იგი სანოლში მონებივრეა აღბეჭდილი და მისწერა, რომ „ელოდება“.

გამოძიებით დგინდება, რომ მასწავლებელმა რამდენიმეჯერ აიძულა ყმანვილი, საკლასო ოთახში მიაღწერებოდა მას, ხოლო ერთხელ საკუთარი მანქანით წაიყვანა პარკში და მანქანაშივე აცდუნა. გამოძიებლებმა ხელთ იგდეს ვიდეოჩანაწერები, რომლებზეც ასახულია, მონიკას მანქანა რომ უახლოვდება პარკს, — წერს Daily Mail, მაგრამ, რა ხდება მანქანის სალონში, არ ჩანს.

პატრულები მასწავლებელი გაცხარებით უარყოფს, რომ ბიჭთან ჰქონდა ინტიმური კავშირი. მან ერთი თვე ციხეში დაჰყო, მაგრამ ამჟამად გირაოთი გათავისუფლებულია. საქმეზე მეორე მოსმენა სასამართლოში სექტემბრის ბოლომდე გაიმართება. მონიკა მასწავლებლობიდან დაითხოვეს.

ირკვევა, რომ ბავშვების ეს აღმზრდელი დანიშნული იყო და დღე-დღეზე უნდა გათხოვილიყო. წყვილი ერთობლივ სასიყვარულო ფოტოსურათებს სოცქსელებში აქვეყნებდა.


ისრაელში მოზარდმა 30 მამაკაცი კოლექტიურ გაუპატიურებაში დაადანაშაულა

ისრაელის პოლიცია შეისწავლის 16 წლის გოგონას ჯგუფური გაუპატიურების საქმეს. Times of Israel-ი აზუსტებს, რომ დანაშაული, რომელშიც 30 მამაკაცი მონაწილეობდა, ერთ-ერთ სასტუმროშია ჩადენილი. გოგონა მეგობრებთან ერთად ისვენებდა ამ სასტუმროში. ახალგაზრდებმა დაინახეს, რომ ამ გოგონას ნომრის კართან მამაკაცების რიგი იდგა, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

დაკავებულები ამტკიცებენ, რომ სექსუ-

ალური კონტაქტები ორმხრივი თანხმობით განხორციელდა. დაზარალებულის განცხადებით, მას არ შეეძლო მოძალადეების შეჩერება.

ამ შემთხვევამ ისრაელის საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. ქვეყნის პრემიერმინისტრმა ბენიამინ ნეთანიახუმ განაცხადა, რომ მოზარდი გოგონას ჯგუფური გაუპატიურება „კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია“ და ბოროტმოქმედნი უმკაცრესად უნდა დაისჯონ.





ტრამპის ებრაელი სიძის, 39 წლის ჯარად კორი კუშნარის, შუამავლობით აზვისტოპი ხელი მოეწერა შეთანხმებას დიპლომატიური ურთიერთობების დაწყებას შესახებ ისრაელსა და გაერთიანებულ არაბულ საამიროებს შორის. მხარეები ასევე შეთანხმდნენ ავიაციის აღდგენის, პირდაპირი პირდაპირი რაიის შესრულება თელ-ავივისა და აბუ-დავის შორის. რამდენიმე დღის წინათ კი თეთრ სახლში ხელი მოეწერა ანალოგიური შეთანხმება ისრაელსა და ჯუჯა, მამრამ მდიდარ არაბულ სახელმწიფო ბაჰრეინს შორის. ეს ყველაფერი ნიშნავს, რომ აშშ-ის შეუზღუდავი მხარდაჭერის წყალობით ისრაელის სახელმწიფო აღარ არის იზოლირებული არაბულ სამყაროში.

და ეს უცხო ქვეყანა რუსეთი არ არის, ეს უცხო ქვეყანა ისრაელის სახელმწიფოა. დონალდ ტრამპი არჩევამდე და არჩევის შემდგომაც არ მალავდა ისრაელისადმი ცალმხრივ და უპირობო მხარდაჭერას, რაც აშშ-ის ყველა პრეზიდენტს ახასიათებდა, მაგრამ ტრამპმა მათ გადააჭარბა ამ საკითხში თავისი რადიკალიზმით.

აშშ-ის, კერძოდ კი, ტრამპის ებრაელი სიძის, 39 წლის ჯარად კორი კუშნარის, შუამავლობით აგვისტოში ხელი მოეწერა შეთანხმებას დიპლომატიური ურთიერთობების დაწყებას შესახებ ისრაელსა და გაერთიანებულ არაბულ საამიროებს შორის. მხარეები ასევე შეთანხმდნენ ავიაციის აღდგენის, პირდაპირი პირდაპირი რაიის შესრულება თელ-ავივისა და აბუ-დავის შორის. რამდენიმე დღის წინათ კი თეთრ სახლში ხელი მოეწერა ანალოგიური შეთანხმება ისრაელსა და ჯუჯა, მამრამ მდიდარ არაბულ სახელმწიფო ბაჰრეინს შორის. ეს ყველაფერი ნიშნავს, რომ აშშ-ის შეუზღუდავი მხარდაჭერის წყალობით ისრაელის სახელმწიფო აღარ არის იზოლირებული არაბულ სამყაროში. არც ეს დაგვევიწყდეს, რომ ტრამპი შეეხო არაბებისთვის ვითომ წმინდა საკითხსაც — იერუსალიმს. **კარგად, თავისი გაპრეზიდენტებიდან ცოტა ხანში აასრულა ისრაელის ნავისმიერი ხელშეწყობის სასაქონლო ოცნება და იერუსალიმი, 1967 წელს ისრაელის ჯარის მიერ დაპყრობილი ალ-მუსაველით დაიარსა ისრაელის დედაქალაქად აღიარა. შესაბამისად, აშშ-ის საელჩო თელ-ავივიდან იერუსალიმში გადავიდა, რაც ისრაელის დიდი დიპლომატიური გამარჯვებაა.**

პირდაპირ „ლალატს“ უწოდებს. მეტიც, პალესტინელებსადმი გამოჩენილ უსამართლობაზე ისრაელშიც საუბრობენ. მაგალითად, გერმანიაში ისრაელის ყოფილმა ელჩმა ავი პრიმორმა „დოიჩე ველეს“ განუცხადა: „რასაც პალესტინელებს სთავაზობენ, რბილად რომ ვთქვა, საცოდაობაა. პალესტინელები არ იღებენ სახელმწიფოებრიობას, ნაცვლად ამისა, მათ რჩებათ დანაწევრებული ქვეყანა, ისრაელის მიერ გარემორტყმული; მათ რჩებათ დანაწევრებული ავტონომია, თუკი ესეც დაუტოვებს, რასაკვირველია, ეს ძალიან იმედგამაცრუებელია, ძალიან მწარეა!“

ტრამპმა ამერიკაში მოქმედი უძლიერესი ებრაული ლობის დავალება ბრწყინვალედ შეასრულა. როგორც ჩანს, მას ამ ლობის ხელშეწყობით მიმდინარე წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე დიდი პრობლემების გარეშე ხელახლა აირჩევენ. ამ ვითარების კომპიურობა არის ის, რომ ტრამპის კონკურენტის როლი დემოკრატიული პარტიის მხრიდან გამოდის წარმოშობით ებრაელი ჯო ბაიდანი, რომელიც ებრაელებს უმტკიცებს, რომ ტრამპი „ებრაელებისთვის ცუდია“.

დონალდ ტრამპი აშკარად ჩაღბა უცხო ქვეყნის სამსახურში



აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი

ტრამპმა, გაკლა ახლო აღმოსავლეთში მიღწეული საეჭვო ნაკვარების, გაიტაცა დიდი პოლიტიკური პრეზიდენტი ალექსანდრა ვუიჩი აიკლა, სეპარატისტულ ქოსოვოსთან ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენაზე მოეწერა ხელი. ვუიჩი ტრამპის ოვალური კაბინეტის შუაში „ოროსან“ მოსწავლესავით დასვეს სკამზე, მას კი საწერ მაგიდასთან მჯდომი დონალდ ტრამპი სკოლის დირექტორის მკაცრად უყურებდა, რაც ორ თანასწორულს სახელმწიფოს მეთაურთა შორის ურთიერთობებში სრული აბსურდია.

აშშ-ის პრეზიდენტს ეს ყოველივე არ აინტერესებს, იგი ახლა კმაყოფილია იმით, რომ თავისი ფსევდოსამშვიდობო დიპლომატიის გამო, საპრეზიდენტო არჩევნების წინ მშვიდობის სფეროში ნობელის პრემიაზე წარადგინეს. ეს წარადგინება არც ისე ალოგოკურია, რადგან ტრამპს ოფიციალურად არც ერთი ომი არ გაუჩაღებია თავისი მმართველობის თითქმის 4 წლის განმავლობაში, განსხვავებით თავისი სისხლიანი წინამორბედებისგან — ობამას, ბუშისა და კლინტონისგან. სამაგიეროდ, მის მიერ „მოგვარებული“ საკითხები საერთაშორისო არენაზე ქმნის საფუძველს, რომ არსებული კონფლიქტები არცთუ შორეულ მომავალში ახალი ძალით იფეთქებს. ეს ასეა იმიტომ, რომ ტრამპის დიპლომატიის შედეგად არ გვარდება პრობლემები სამართლიანობის საფუძველზე. პრობლემები ტრამპის ისრაელისთვის სასარგებლო ამოცანები. შეთანხმება ისრაელსა და გაერთიანებულ არაბულ საამიროებს, აგრეთვე, ისრაელსა და ბაჰრეინს შორის, მკვეთრად დაგმეს

ლო მომავალში კიდევ უფრო დიდი პრობლემა, საკვარაუდოდ, თურქეთის რესპუბლიკა იქნება. განსხვავებით ირანისგან, თურქეთი, არაბების უმეტესი ნაწილის მსგავსად, სუნიტური ისლამის მიმდევარია და არა შიიტურის. თურქეთის პრეზიდენტი **ერდოღანი**, კარგა ხანია, ანტიისრაელურ რიტორიკას იყენებს, ამ ფონზე მისი რეიტინგი მყარია საერთოეკონომიკურ და, ბუნებრივია, არაბულ სამყაროშიც.

თურქეთის აქტიური პოლიტიკა ლიბიაში კიდევ ერთი დამატებითი გარემოებაა, რომელიც უნდა აფიქრებდეს „მშვიდობისმყოფელ“ ტრამპს, მაგრამ მას ეს საკითხები არ ესმის და არც აინტერესებს, მისთვის მთავარია, განახორციელოს ისრაელისთვის სასარგებლო ამოცანები. შეთანხმება ისრაელსა და გაერთიანებულ არაბულ საამიროებს, აგრეთვე, ისრაელსა და ბაჰრეინს შორის, მკვეთრად დაგმეს

გულბათ რცხილაკა



ღაზის სემტორში არაბები ისრაელის პრეზიდენტის ბაიდანი და გაერთიანებულ არაბულ საამიროების პრეზიდენტ ხალიფა მუჰამად იბნ საიად ალ-ნაჰიანის ფიჭულს წვამენ



სერაბეთის პრეზიდენტი ალექსანდრა ვუიჩი აშშ-ის პრეზიდენტის ოვალურ კაბინეტში „ოროსან“ მოსწავლესავით დასვეს



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გეორგიის მსოფლიო

ბედო, შავბირო, უბირო, ამრევო გზა და კვალისა, სულს ნუ ამომხდი, მაცალე დახამხამება თვალისა.

აკაკი წერეთელი



ფიზიკური მოვლეთი

2020 წლის 22 აგვისტოს, შარშანდელი ამ დღიდან განვლილი პირველი „საიუბილეო“ წლის თავზე, კვლავ ქობულეთში ვარ და დილაადრიან მივყვები აღმასენებლის პროსპექტს პროფესიული ცნობისნადილის დასაკმაყოფილებლად, მასალის ობიექტურად მოსაპოვებლად, თუნდაც, ისე რომ არ გამომივიდეს — „ქათამი დაგვიღოს რომ ნახავს, გულზე შემოეყრება“.

ასეთი გაქათმება დღეს მოდურია... მაშ, მოდით, ერთად ვნახოთ, რა შეიცვალა სახელგანთქმულ კურორტში დროის ამ ერთწლიან მონაკვეთში. მოხდა რამ ახალი?

ჰო, მოხდა. უპირველესი, რაც თვალში ეცემა აქ ერთხელ უკვე ნამყოფ კაცს, პროსპექტს ჩაყოლებული სახლების ღობეებს, ჭიშკრებსა და კედლებს მიკრული განცხადებების გახალისებაა. მაგალითად, თუ შარშან აქ შაბლონურ მაკულატურას შორის (Сдаются комнаты) ორაზროვნობითა და ლაკონურობით გამოჩენილი ერთადერთი სარეკლამო „ბანერი“ იყო, რომელიც იკითხებოდა ასე — Сдаются და რომელსაც, ავტორის ჩანაფიქრისგან განსხვავებით, ოთახების გაქირავებასთან საერთო არაფერი ჰქონდა, რადგან, არც მეტი, არც ნაკლები, ნიშნავდა — გენდებობით ან, უფრო ზუსტად, ნებდებობით (მტერს, რა თქმა უნდა. ოკუპანტებს, თუ დავაზუსტებთ. რადგან რუსულენოვანია Сдаются).

ასე იყო შარშან. წლეულს ყოველი მესამე აბრაგამცნობდა — Сдаю რაც იმავე „ოკუპანტების ენაზე“ ნიშნავს „ჩაუშვებ“, „გაეცემ“, „ვაცნობებ, სადაც ჯერ არს“, ვუშპონებო — ამასაც ნიშნავს. სლენგზე. ჯაშუშობის ვარიანტია. ეტყობა, მაგრად უმუშავია ГРУ-ს — რუსეთის დაზვერვის მთავარ სამმართველოს — ახალი აგენტების გადასაბირებლად.

ლიად და დაუფარავად. მოკლედ — „ჰო“ — ცვლილებები აშკარაა, ანუ დანეღია-გაბრაიადის ფილმ „ქინ-ძა-ძას“ ენაზე თუ ვიყავი, — „ქუ!“ ანუ — „კუ!“ — ჩაცუცქების პირველი სტადიისა და ფარშევანგის კუდივით მკლავების გაშლის იმიტაციით კოსმოსური „კნიქის“ ვარიანტს გამოვხატავთ.

გნებავთ, კვერცხის დამდები კრუხის პოზა დაარქვით. ან: ლამის ქოთანზე დაჯდო-

მის სტარტი. ვის რა მოსწონს. გამრავალფეროვნდა-მეთქი წარწერები, გახალისდა სარეკლამო ვიტრინა. სამაგიეროდ გაერთფეროვნდა და დაკინდა „ვიზიტორთა“ მასა: ბუნებამ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც შეინარჩუნა ნონასწორობა.

რუსეთიდან სტუმრები რომ აღარ ჩამოდიან, ამის მიზეზები ვიცი. ისიც ცნობილია, რომ ჰაოს-ქართლოსიანები გაიყარნენ — სომხები თავიანთ „კორონაპანდემიის“ საზღვრებში ჩაიკეტნენ.

აზერბაიჯანელებისთვის ანტალია ქობულეთზე უფრო პრესტიჟული კურორტია.

ხოლო ქართველებზე ვერ იტყვი, მასააო, გადასახლება-მისჯილებივით მიღეულ ნაკადად მიედინებიან შავი ზღვის სანაპიროსა და აღმასენებლის პროსპექტზე განლაგებულ კაფე-ბარებს შორის ტრადიციული მარშრუტით, რადგან, მაღლობა ღმერთს, ცოტა ხნით მაინც ჩაიკეტა საზღვარი თურქეთთან — პანდემია, როგორც ექსპანსიის თავიდან აცილების ეფექტიანი ღონისძიება.

ქობულეთში იკლო დამსვენებელთა რიცხვმა, სამაგიეროდ (საიდან სადაო) მოიმატა მოხეტიალე ძაღლების რაოდენობამ. საერთო მასშტაბისას ვერაფერს გეტყვით, ვასკენი იმ ყეფა-წყურტუნის, ღრენა-წყვენივანის დეციბელების დონით, ჩვენი სასტუმროს წინ, პრაქტიკულად, ყოველ ღამით რომ ისმის.

მაინცდამაინც ჩვენი სასტუმროს წინ, რადგან ამ საკურორტო ობიექტის პატრონი და გამგებელი ბობი ბობიტ-ნიძე არნახულად კეთილი კაცია, ამას ცხოველები ინსტიტუტურად დამაინებზე უკეთ გრძნობენ.

შეიფარებს და უფლის უბატრონო ძაღლებს. ისინიც ერთგულად იცავენ ყველა უცხოხან ჩვენი ნავსაყუდელს, სახელად „ომეგა 117“.

ამბავს მოგვიყვებიან მეზობლები, სანამ ქობულეთის

რუსეთიდან სტუმრები რომ აღარ ჩამოდიან, ამის მიზეზები ვიცი. ისიც ცნობილია, რომ ჰაოს-ქართლოსიანები გაიყარნენ — სომხები თავიანთ „კორონაპანდემიის“ საზღვრებში ჩაიკეტნენ. აზერბაიჯანელებისთვის ანტალია ქობულეთზე უფრო პრესტიჟული კურორტია.

ჩანსნერები არაფერზე



ესაა ბობი ბობიტნიძე და მისი „ომეგა-117“

თის რეალობაში ნიშნავს: ყოველი დღის ბოლოს ეს ნიდერლანდელი ცოლ-ქმარი ცალცალკე ან წყვილ-წყვილად ჩამოივლის კურორტის კაფე-ბარების სამზარეულოებს და ცარიელ ვედროებს მათი ნამუსრევით ავსებს.

ცხადია, იმ წარჩენებში ფულს არავინ ახდევინებს, დამშეული ძაღლებიც იძულებული არიან, თქელიფონ ეს ნაგავი, შიმშილით სული რომ არ განუტევიან.

ხოლო ის ფული, რომელსაც „გულუბნი“ ვეროკავშირი ოთხგზაბათა სპეციალური საკვების შესაძენად აძლევს, ღმერთმა უწყის, სად და ვის ჯიბეში ილექება.

„მსხვილ-მსხვილი მენაფოტე მალ-მალე ტყეში გარბოდა“, ისეა ამთანართა ანყობილი სარფიანობა. გამოშვებული-გაყოფილი-გამოფიქვლი ოთხმოცდაათიანი წლების საქართველოში ჰუმანიტარულ დახმარებად მიღებული საქონლით უცხოელებს დიდი აღებ-მიცემობა რომ ჰქონდ-

ისაა, რომ ჩვენი რედაქციის შეგებულების პერიოდი აუცილებლად უნდა დაემთხვეს ქობულეთში ტროპიკული წვიმების სეზონს, რომელიც, მაგალითად, დაიწყო ერთ საღამოს, როცა კი არ წვიმდა, არამედ ზღვა დამხო დედამიწას თავზე და ხელის განვდენაზე აღარაფერი ჩანდა: „ამ დღეს მოსკდენ დიდი უფსკრულის წყაროები და გაიხსნენ ცათა სარკმელები“.

ჭექდა და ქუხდა, ელავდა და გრილბდა ათასი ხიროსიან-ნაგასაკის ელექტრომუხტების მეგატონები, აზანზარებდა დედამიწას, ალბათ, ისე, როგორც ბიბლიური წარღვნის დროს, ხოლო კობტა სასტუმრო „ომეგა-117“ აბობოქრებულ სტიქიონის ტალღებსა და ბედს ნოეს კიდობანივით იყო მიხდობილი. „ალიგავა ყოველი არსება, რაც კი მიწის პირზე იყო; ადამიანიდან დაწყებული პირუტყვამდე, ქვეწარმავლამდე და ცის ფრინველამდე — ყველაფერი აღიგავა პირისაგან მიწისა...“ (დგ. აღთქმა, თავი მეშვიდე, 11-25).

დღის სუთის ნახევრისთვის თითქოს მიწყნარდა.

მიჩუმდა. და ამ სიჩუმეში ასფალტზე მეზობლის ცოცხის შრიალი სასიამოვნო მელოდიად ჩამესმა. პალუცინაციაა?!

არავითარი! ხანდაზმული, აბსოლუტურად ჭაღარა ქალბატონი, მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის წარწერიან მისსახურის გამოწვობილი, წელზე შემოხვეული ხალათით, ისე ფრთხილად ხეცტდა ტროტუარს, თითქოს ჭრილობებს უსალბუნებდა ზეციურ ძალებთან წუხელ ნაბრძოლებ დედამიწას, უმშვიდებდა ბუდიდან ამოვარდნილ გულს:

— ოუ, ნანინა-ნანინა, ნანა, ოუ, ნანინა-ნანინა, ნანა, — ამ ერთადერთ მუსიკალურ ფრაზას იმეორებდა ცოცხის ყოველი მოსმის რიტმში, წარმართული ლოცვის ჟამგადასულ ფრაზას.

ეს სურათი ისეთი მოულოდნელი იყო, რომ მომენტი ხელიდან გამეცა და შეკითხვა უკვე ჩავლილს დავადევნი: — ქალბატონო, რამდენი წელიწადია, ამ საქმეს მისძევთ?

— ნამით შეჩერდა. — შენ რაში გაინტერესებს? — უკანმოუხედავად მკითხა.

— ჟურნალისტი ვარ. — სამ-ნახევარი წელიწადია, ვეფერები ჩემს ქობულეთს, — ასე მიპასუხა, მგონი. კარგად ვერ გაგარჩიე, და განაგრძო მინდობილი საქმე.

დავრჩი ხელმოცარული, სავარაუდო რესპონდენტის მიერ პრინციპულად იგნორირებული. „გურულს ჰკითხეს, — გლეხი ხარ თუ აზნაური? — კარგი კი ვარ და რა შენი საქმეა, გლეხი ვარ თუ აზნაური?“. კი უნდა მცოდნოდეს ეს.

კიდევ კარგი, რომ მოწმე არავინ იყო. ყველს მოყვარული ძაღლების კვარტეტიც არსად ჩანდა.

ბნელოდა.

არაფა სანაზლია ქობულეთი — თბილისი (ბაბრქალაბა შვიდაზ ნოეიძე)

ჭექდა და ქუხდა, ელავდა და გრილბდა ათასი ხიროსიან-ნაგასაკის ელექტრომუხტების მეგატონები, აზანზარებდა დედამიწას, ალბათ, ისე, როგორც ბიბლიური წარღვნის დროს, ხოლო კობტა სასტუმრო «ომეგა-117» აბობოქრებული სტიქიონის ტალღებსა და ბედს ნოეს კიდობანივით იყო მიხდობილი



უაღბლოდ ჩაჩხერილი „შამი კარკასი“

შემოვლით გზას გაიყვანდნენ, იმდროინდელს, როგორც ყოველთვის მითოლოგიური ლეგენდის ფიგურალურლით ცოტა გაზვიადებულსა და შელამაზებულს. ვერ გადაუსწრია საათში 120 კილომეტრის სიჩქარით მიმავალი მანქანისთვის სანყალ ძაღლს და ისეთი ტრავმა მიუღია, გზიდან ისე შორს გადაუვდია დაჯახებულ ავტომობილს, რომ მკვდარი ეგონა ყველას.

ბატონმა გოგამ დაუყოვნებლივ ვეტერინართან მიიყვანა სულთმობრძავე ძაღლი. სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს, უმკურნალეს, გადაარჩინეს.

ერთადერთი და გამოწვობილი არ ყოფილა ეს შემთხვევა. მას შემდეგ ძაღლები, როგორც წესი, სასტუმროს წინ დახაზულ ზეზარზე გადადიან. ამასობაში დემოკრატიისა და ცხოველთა მოყვარულების ნიშნულად წარმოდგენილი ნიღბები, სანამ ქობულეთის

ათ გაჩაღებული, ხომ გახსოვთ? დაახლოებით ასეთივე რამ, ოღონდ მინიატურაში, მეორდება ქობულეთში ძაღლების თემის დონეზე.

იმ თავშესაფრის გარშემო ჯგანარში გაველურებული ძაღლები მუსტანგებვით ისე დამლიგინებენ, გოგტიძეების ძველი „ფოლკსვაგენი“ დროზე რომ არ შემოგვეტრია, საქმეში გამოწვობილვით გარკვევას ვინ ჩივის, საბურავებს დაგვიგლეჯდნენ ეს შობელძაღლები.

ფოტოკადრიც ერთადერთი გადავიღეთ შორიასლოდან.

ცნობისთვის: ძაღლების იმ თავშესაფარში ერთი დღე-ღამით ცხოველის შენახვა საკურორტო სეზონში დამსვენებლის 24-საათიან სტუმრობაზე გაცელებით ძვირი ღირს...

ერთი დღის ამ სურათს ერთ შტრიხსაც დაუშვებ: კურორტის ცენტრში სასტუმრო-ოტელის უაღვილოდ ჩაჩხერილ, წლობით დაუმთავრებელი შენობების შავ კარკასებს, როგორც ჩანაფიქრის მატერიალიზაციის ამაოების მაგალითს, უპერსპექტიულობის ხანაში.

უფუნქციოსა და გამოუყენებელს, როგორც ძველი სკოლების საკლასო ოთახების კუთხეებში დასჯილი უმცროსკლასელებით მიყვებული ადამიანის ჩონჩხის „სასწავლო-საჩვენებელი“ საშუალება იყო.

კი არის ყველაფერი ცვლელად ამ მზისქვეშეთში, მაგრამ გამოწვობილი მაინცდამაინც

**ყველაზე
ყველაზე...**



www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

კრუბარის კარსტული მღვიმე, რომელიც ვერიოვიკინის გამომავალის შემდეგ სიღრმით მეორეა მსოფლიოში, აფხაზეთში მდებარეობს, ბერძნული ძეგლი. მღვიმეში არის მინიატურული სტალაქტიდები და სტალაგმიტები, აგრეთვე, პატარა ტბები. გამომავალში ბინადრობენ მრავალფეხა ჭიები, ხოჭოები, გამჭვირვალე თევზები და სხვ.

ადამიანი იკვლევს მარსის ზედაპირს, ტელესკოპით აკვირდება კოსმოსის შორეულ გალაქტიკებს, მაგრამ დედამიწაზე ჯერ კიდევ არის შეუსწავლელი ადგილები. მათ, რა თქმა უნდა, მიეკუთვნება მღვიმეები.




ვერიოვიკინის მღვიმე, საქართველო

ეს არის მსოფლიოში ყველაზე ღრმა კარსტული მღვიმე აფხაზეთში, გაგრის რაიონში. მდებარეობს არაბიკის კირქვულ მასივზე, ზღვის დონიდან 2400 მ სიმაღლეზე. 2018 წელს მეცნიერებმა კიდევ ერთხელ გამოიკვლიეს მღვიმე და მისი სიღრმის ნიშნული 2212 მ-ით განისაზღვრა. სახელი ეწოდა ტრაგიკულად დაღუპული სპელეოლოგის, ალექსანდრე ვერიოვიკინის, პატივსაცემად. მღვიმე 1968 წელს აღმოაჩინეს კრასნოიარსკელმა (რუსეთი) სპეციალისტებმა.



კრუბარის მღვიმე, საქართველო

კრუბარის კარსტული მღვიმე, რომელიც ვერიოვიკინის გამოკვების შემდეგ სიღრმით მეორეა მსოფლიოში, აფხაზეთში მდებარეობს, ბერძნული ძეგლი. მღვიმეში არის მინიატურული სტალაქტიდები და სტალაგმიტები, აგრეთვე, პატარა ტბები. გამომავალში ბინადრობენ მრავალფეხა ჭიები, ხოჭოები, გამჭვირვალე თევზები და სხვ.



სონ-დონგი, ვიეტნამი

გამოკვებული მდებარეობს ვიეტნამის ტერიტორიაზე, ლაოსის საზღვართან და მსოფლიოში ყველაზე დიდი მინისქვეშა სისტემების სამეფოში შედის. საკვირველია, რომ ეს გამოკვებული 1991 წელს აღმოაჩინეს. სპელეოლოგები, რომლებმაც პირველბა გამოიკვლიეს ეს გამოკვებული, განცვიფრებას ვერ მალავდნენ — თითქმის 2,5 მლნ წლის განმავლობაში ეს გამოკვებული უცნობი იყო ადამიანებისთვის.

10 ყველაზე ღრმა და ლამაზი მღვიმე მსოფლიოში




ანტილოპას კანიონი, აუზ

სილასა და წყალს შეუძლია საოცრების შექმნა, განსაკუთრებით, თუ ათასობით წლის განმავლობაში „მუშაობენ“ ერთობლივად. არიზონას კანიონი ბუნების საოცრებაა, რომელიც განსაცვიფრებელია არა მხოლოდ უცნაური ფორმებით, არამედ ქანების წითელ-ყავისფერი ფერებით.



ხისფარი მღვიმე, იტალია

წარმოადგინეთ ცისფერი ფერით განათებული გალერეები, რომლებიც ბუნებამ შექმნა, და მიხვდებით, რატომ ითვლება ტირენის ზღვაში მდებარე კუნძულ კაპრის მღვიმე დედამიწის ერთ-ერთ ლამაზ ადგილად.



მაკსსლანის მღვიმე, მექსიკა

დილაობით ფრინველთა გუნდი სპირალისებური ტრაექტორიით მიფრინავს ზევით, მღვიმის გასასვლელისკენ, საღამოს კი უკან ბრუნდება — თავიანთ ბუდეებში. ასე გრძელდება რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში. მერცხლების მღვიმე ცნობილი ამერიკელი რეჟისორის, ჯეიმს კემერონის, ფილმ „სანკტუმი“ ასახული მღვიმის „პროტოტიპია“ და ბევრ ავანტიურისტს იზიდავს. ეს გასაკვირიც არ არის, მერცხლების მღვიმე ხომ მსოფლიოში ერთადერთია, რომელშიც პარაშუტით ჩასტომას შეძლება.



მაკაპარილოს გამოქვაბული, ჩილე

მრავალი ათასი წლის განმავლობაში ეხეთქებოდა ტალღები სანაპიროს, რათა შეექმნა ეს საოცარი გამოქვაბული.




ვაბნაიკული, ისლანდია

ყინულის გამოქვაბულების 99,9% წყლით არის შექმნილი, მაგრამ ისლანდიის ყინულოვანი გამოქვაბულის დერეფნები და დარბაზები ვულკანის მოქმედების შედეგად წარმოიქმნა, რომლებიც ფანტასტიკურ ელფერს აძლევს ამ გამოქვაბულს. ვაბნაიკული ისლანდიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. ის მოცულობით (8133 კვ.კმ) უდიდესია ევროპაში. აქ ყინულის საშუალო სისქე 40- მეტრია, მაქსიმალური — 1000 მ.



მღვიმე ოკლინსკაია, რუსეთი

ეს გამოქვაბული მდებარეობს პერმის მხარის სოფელ ორდის სამხრეთ-დასავლეთით, მდინარე კუნგურის მარცხენა ნაპირზე. ის რუსეთის ყველაზე გრძელ წყალქვეშა და მსოფლიოში ყველაზე დიდ თაბაშირისგან შექმნილ გამოქვაბულად ითვლება. გამოქვაბულის გამოკვლეული ნაწილის სიგრძე 4600 მეტრია, ამასთანავე, მის მშრალ ნაწილს მხოლოდ 300 მ უკავია, დანარჩენი წყალქვეშაა.



მამონტის მღვიმე, აუზ

მამონტის მღვიმე, რომელიც აშშ-ის შტატ კენტუკიში მდებარეობს, ყველაზე გრძელია მსოფლიოში — მინისქვეშა გასასვლელის საერთო სიგრძე დაახლოებით 700 კმ-ია. გამოქვაბულში ნაპოვნი საგნები მიუთითებს იმაზე, რომ პირველი ადამიანი იქ ჩვ. წ. აღ-მდე 2000 წლის წინათ იყო, თუმცა ჩვენი წინაპრები იმხანად ძალიან ცოტა რამით ჰგავდნენ თანამედროვე ადამიანებს.

რუსეთი და ჩინეთი კავასიაში ერთობლივ სამხედრო სწავლებას გააგრძელებენ

რუსეთი და ჩინეთი სხვა ქვეყნებთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას სწავლება „კავასია-2020“-ში, რომელიც სექტემბრის ბოლოს გაიმართება. როგორც CBS News-ი წერს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სწავლებისთვის შერჩეულ დროს, რადგან მსოფლიო, უკვე რამდენიმე თვეა, ებრძვის კორონავირუსს, ჩინეთში კი, რამდენიმე კვირაა, ვირუსის ახალი შემთხვევა არ აღრიცხვულა.



ჩინეთი და რუსეთი მონაწილეობას მიიღებენ ერთობლივ სწავლება „კავასია-2020“-ში, რომელიც რუსეთის სამხრეთში გაიმართება სექტემბრის ბოლოს. სწავლებაში ასევე ჩაერთვებიან სომხეთის, ბელარუსის, ირანის, მიანმის, პაპუა-ნიუგინისა და სხვა ქვეყნების სამხედროები. სწავლების მონაწილეები ყურადღებას გაამახვილებენ თავდაცვის ტაქტიკაზე, გარემოცვაზე, ბრძოლის ველის კონტროლსა და ოპერაციების ხელმძღვანელობაზე. ეს სწავლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რუსეთისა და ჩინეთისთვის. მსოფლიო კორონავირუსის ებრძვის, ჩინეთში კი, რამდენიმე კვირაა, არ აღრიცხვულა კორონავირუსით ინფიცირების ახალი შემთხვევა.

ჩინეთმა და რუსეთმა 20 წლის წინათ მოილაპარაკეს პარტნიორობაზე და მას შემდეგ თანამშრომლობენ — განსაკუთრებით სამხედრო და დიპლომატიურ საკითხებში. ეს, ძირითადად, მიმართულია აშშ-ის გავლენის გავერცხვების წინააღმდეგ. ეს ორი ქვეყანა ხშირად ატარებს სამხედრო სწავლებას და მხარს უჭერს ერთმანეთს გაეროში.

მოსფეროში ჩაივლის, რადგან სულ უფრო მატულობს დაპირისპირება, ერთი მხრივ, აშშ-ს და მეორე მხრივ, რუსეთსა და ჩინეთს შორის.

სწავლებაში მონაწილეობა უნდა მიეღონ ინდოეთსაც, მაგრამ ბოლო მომენტში თქვა უარი, რადგან სადავო ტერიტორიის გამო უთანხმოება შეექმნა ჩინეთთან.

Russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ

Le Parisien: მსოფლიო უკვე შეუქცევლია — არასრულწლოვანი მაროკოელები პარიზის ერთ-ერთი კვარტლის მსოფლიოებს ატარებენ

პარიზის კვარტლის, გუტ-დ'ორ-ის მცხოვრებლებმა და მოგაჭრეებმა დაიწყეს საპროტესტო კამპანია ლოზუნგით: „შეაჩერეთ დაუცველობა“, რათა ხელისუფლებისა და საზოგადოების ყურადღება მიიპყრონ მაროკოელი წარმოშობის არასრულწლოვნების პრობლემას, — წერს Le Parisien-ი.




როგორც გამოცემა იუწყება, ათეულობით უცხოელი მოზარდი სარგებლობს არასრულწლოვნობით და ყოველდღე ძარცვავს ადგილობრივ მცხოვრებლებს. მოზარდები, აგრეთვე, აწყობენ სისხლიან გარჩევებს რაიონში, რომელიც ამის გამო ცხოვრებისთვის სასიფათო შეიქნა.

ეების, რესტორნებისა და მაღაზიების მფლობელები, რომელთა საკუთრებას, უკვე 4 წელიწადი მეტია, თავს ესხმის ათეულობით უსახლკარო არასრულწლოვანი მაროკოელი. გასული წლის, რომ მოზარდი ნარკომანები, რომლებიც უარს ამბობენ ნებისმიერი სახის მეურვეობაზე, დაკავებულნი არიან ძარცვით, ერთმანეთში სისხლიანი ანგარიშსწორებ-

იანტი, რომელსაც ვიჭრინაზე ჩამოკიდებული აქვს აბრა „შეაჩერეთ დაუცველობა!“, მაგრამ ყმანვილებმა იციან: ისინი არასრულწლოვანები არიან და ციხეში ვერ ჩასვამენ. როგორც დაწესებულების დარაჯი ამბობს, რამდენიმე კვირის განმავლობაში ობიექტი ორჯერ გაპარცვეს: მოზარდები ამტყვერვენ რკინის გისოსებს და მიაკვთ ყველაფერი, რასაც მოიხელთებენ. დაწესებულებების გარდა ადგილობრივი მცხოვრებლებიც ხშირად ხდებიან თავდასხმის მსხვერპლი, ამიტომ ისინი ტოვებენ კვარტალს და სხვაგან გადადიან საცხოვრებლად. ვითარება ისე მწვავეა, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი მაროკოს მეფე მოჰამედ VI-ს ესაუბრა.

Russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთიძემ



მამა, ესანი ვინ არიან? — კოლია, მოიტა ავტომატი!

«ჩამორჩენილი» და «პროგრესული» ვის ვინ ეაბაყება

ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო თავისი „ჩამორჩენილი“, „არამოდური“ და ტრადიციული ფასეულობების ერთგული ვაჭით, კოლიათი (ნიკოლოზი), ამაყობს; ესტონეთის პრეზიდენტი კარლსი კანილუაიდი კი — ღია ვარდისფერ კაბაში გამოწყობილი „პროგრესული“ მწერლით, ნამდვილი ევროპული ფასეულობების მატარებელი მიკ პიპარსტით, რომელსაც ეკუთვნის ფრაზა: „ტრადიციული ოჯახი — ეს არის ყველაზე სასიფათო ადგილი ბავშვებისთვის“.



რაზე ისაუბრეს რუსეთისა და ბელარუსის პრეზიდენტებმა სოჭში

14 სექტემბერს სოჭში გაიმართა რუსეთისა და ბელარუსის პრეზიდენტების — ვლადიმერ პუტინისა და ალექსანდრე ლუკაშენკოს შეხვედრა, რომელიც 4 საათის განმავლობაში დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

შემდეგ ბელარუსში შექმნილ ვითარებასა და საპროტესტო აქციებზე საუბრისას პუტინმა აღნიშნა, რომ მოსკოვის ქმედებები გამომდინარეობს იქიდან, რომ ლუკაშენკო რესპუბლიკის ლეგიტიმურ პრეზიდენტად მიაჩნია, ხოლო საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებზეც ლუკაშენკო ლაპარაკობდა, ბელარუსის საშინაო პროცესია. „ღიას, პუტინმა განაცხადა, რომ მხარს დაუჭირდა ამ პროცესს, მაგრამ მასში არაფერს უნდა ჩაერიოს — არც მოსკოვი და არც ევროპის სხვა რომელიმე დედაქალაქი“, — განაცხადა პუტინმა.

რუსეთისა და ბელარუსის პრეზიდენტებმა ყურადღება გაამახვილეს ორი ქვეყნის კავშირების გაღრმავებასა და სავაჭრო-ეკონომიკურ კოოპერაციაზე.

რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის, დიმიტრი პესკოვის, განცხადებით, 1,5 მლრდ დოლარის ახალი კრედიტი, რომელსაც მოსკოვი მინსკს გამოუყოფს, ძველი ვალეების რეფინანსირებას მოხმარდება.

რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის, დიმიტრი პესკოვის, განცხადებით, 1,5 მლრდ დოლარის ახალი კრედიტი, რომელსაც მოსკოვი მინსკს გამოუყოფს, ძველი ვალეების რეფინანსირებას მოხმარდება.

კრემლის წარმომადგენლის თქმით, პრეზიდენტებს არ უმსჯელიათ ქვეყნებს შორის სამხედრო თანამშრომლობასა და ბელარუსში რუსული სამხედრო ბაზების განლაგებაზე, თუმცა ერთობლივი სამხედრო სწავლებები აუცილებლად ჩატარდება.

„მიზანი არის რუსეთსა და ბელარუსს შორის ეკონომიკური თანამშრომლობისთვის დამატებითი იმპულსის მიცემა. ჩვენ უახლოესი პარტნიორები ვართ“, — განაცხადა პესკოვმა და დასძინა, რომ „ჯერ ნაადრევია“, ერთობლივი საწარმოების შექმნაზე ლაპარაკი, რადგან ეს უნდა იყოს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შედეგი“.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტების შეთანხმებით, კორონავირუსის საწინააღმდეგო რუსული ვაქცინა „სპუტნიკის“ პირველ პარტიას ბელარუსი მიიღებს.

საპრეზიდენტო არჩევნების

Ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ვიკტორია ბაჩინიძემ

აშშ-ის ბიუჯეტის დეფიციტი 3 ტრილიონ დოლარს მიაღწია

მიმდინარე წლის აგვისტოში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 198 მლრდ დოლარით მოიმატა და 3 ტრილიონ დოლარს მიაღწია. ეს მონაცემები მოყვანილია აშშ-ის კონგრესის საბიუჯეტო სამმართველოს მოხსენებაში.

დეფიციტი, რომელიც მშპ-ს 16%-ია, ყველაზე დიდია 1945 წლის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ ეს 1,9 ტრილიონი დოლარით მეტია 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. სპეციალისტების პროგნოზებით, მიმდინარე საფინანსო წლის ბოლოს ბიუჯეტის დეფიციტი 3,3 ტრილიონს მიაღწევს და ეს

მიმდინარე წლის მარტიდან აშშ-ის ხელისუფლებამ 3 ტრილიონი დოლარი ჩადო კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პერიოდში ეკონომიკის სტიმულირებისთვის. რამდენიმე დღის წინათ კი აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მზად არის, კიდევ 300 მლრდ დოლარი გაიღოს ქვეყნის ეკონომიკისთვის.

რგ.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ

www.geworld.ge საქართველო ისტორიული რეკონსტრუქციები

სარედაქციო კოლეჯია გაზეთი ხელმძღვანელობს თბილისში მდებარე პრესის პრინციპებით. ავტორებს ექირსებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის აუზიციან შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს. მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6 ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894 9 772331 3890 91